სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
30
ივლისი
№ 90 (10483)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

26 ივლისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

პრესაში გამოქვეყნებული და რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული დღის წესრიგის დამტკიცებისას მასში დამატებით შეიტანეს კიდევ ორი საკითხი — საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75-ე მუხლის განმარტებისა და ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნის შესახებ, უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონის შესახებ. ხოლო საკითხი ქალაქ სიღნაღში არჩევნების მოწყობის შესახებ მოიხსნა.

საკითხების განხილვის დაწყების წინ ხრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით განცხადება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ვაჟა ადამიამ, რომელმაც უარყო 19 ივლისს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მარნეულის რაიონის პრეფექტის საქმიანობის გამო მოყვანილი ფაქტები და მოითხოვა შეიქმნას საპარლამენტო კომისია ჭეშმარიტების დასადგენად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დაზუსტებული და წლის მეორე ნახევრის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ—გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, დეპუტატებს შორის აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც, რომელმაც საფუძვლიანად გააანალიზა ეკონომიკაში შექმნილი მძიმე სიტუაციის მიზეზები და მოუწოდა მთავრობას, განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. უზენაესმა საბჭომ მთავრობას დაავალა უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს გივი თაქთაქიშვილს მან დეპუტატთა განსახილველად შემოიტანა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომელშიც სესიის წინა სხდომაზე პირველი წაკითხვით მისი მიღების შემდეგ შეტანილია არსებითი დამატებანი. განიხილა რა ისინი, უზენაესმა საბჭომ მიიღო ის კანონი, აგრეთვე დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

კანონპროექტმა დასაქმების შესახებ, რომელიც განსახილველად შემოიტანა საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრმა თამაზ გოგუშვილმა, მწვავე კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობდნენ როგორც უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები თეიმურაზ ქორიძე, ტარიელ გელანტია, რობერტ პეტრიაშვილი და სხვა დეპუტატები, ისე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. საფუძვლიანი აზრთა გაზიარების შემდეგ კანონი დასაქმების შესახებ მიიღეს. მიიღეს აგრეთვე კანონები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის და დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონები საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ, უცხოური ინვესტიციებისა და მათი დაცვის შესახებ, დადგენილებანი მათი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა და ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თედო პაატაშვილის წარდგენით დეპუტატებმა მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ. იგი ამოქმედდა მისი მიღების მომენტიდან ამავე სხდომაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტებს მიმართა წინადადებით, მიჰბაძონ მის მაგალითს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამიერკავკასიის რეგიონის უბირთვო ზონად გამოცხადების გზაზე.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილება. საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც ახლახან დაიდო თბილისში.

იმ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისადმი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართვის პასუხად, რომლებმაც უარი თქვეს ხელი მოაწერონ საკავშირეო ხელშეკრულებას, საქართველოს პარლამენტარებმა მიიღეს წერილი მისი მისამართით, რომელშიც ხაზგასმულია რესპუბლიკის მისწრაფება, კავშირურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან თვისობრივად ახალ საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე, და, ამის გათვალისწინებით კვლავ დადასტურდა მზადყოფნა მიუსხდნენ სსრ კავშირთან მოლაპარაკების მაგიდას.

სესიაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგენით მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ძირითადი კანონის 75-ე მუხლის განმარტების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საკითხი იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც წინათ დეპუტატთა ჯგუფმა გააკეთა ფინანსურ საქმიანობაში ზოგიერთი დარღვევის შესახებ, და გადაწყვიტა შექმნას საპარლამენტო-სამთავრობო კომისია სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მიღებულია გადაწყვეტილება ქალაქ ცხინვალისა და ჯავის ტერიტორიაზე შეიქმნას მმართველობის დროებითი ორგანოები პრეფექტურების სახით, აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის თაობაზე კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

მიღებულია დადგენილება უზენაესი საბჭოს. პრესცენტრისა და პროგნოზირებისა და ინფორმაციის ცენტრის გაუქმებისა და მათი საშტატო ერთეულების საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატისათვის გადაცემის შესახებ.

28 ივნისს დეპუტატ ნოდარ ნათაძის შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პატიმართა გაგზავნის შესახებ უპასუხა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა მერაბ რაფავამ.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

პაატა ცინცაძე,
ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

## კომბინატის საამქროთა ჭერქვეშ

ბევრი საზრუნავი აქვთ სარემონტო მექანიკური კომბინატის შრომით ქვედანაყოფებს. ისინი დასავლეთ საქართველოში ყველა ფაბრიკას აწვდიან ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, სათადარიგო ნაწილებს, ატარებენ სარემონტო, სამონტაჟო და სამშენებლო სამუშაოებს.

მრავალფეროვანია კომბინატის ნაწარმი. იგი უშვებს ტექნიკურ ჟანგბადს, სხვადასხვა სახის მავთულ-ბადეს, ალუმინის ნაკეთობებს თუ რეზინის ნაწარმს.

ცხრა საამქროა. ყველას თავისი ბიოგრაფია აქვს. თითოეულს გააჩნია დანარჩენებისაგან განსხვავებული ნიშანი.

კოლექტივი მეტ მონდომებას იჩენს საქმისადმი. შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვის, წარმოების ტექნიკური გადაიარაღების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის შედეგად კომბინატმა 100 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის ექვს თვეში გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების დავალება. ამავე დროისათვის მოგებამ 140 ათასი მანეთი შეადგინა.

—ჩვენს კითხვაზე საგეგმო განყოფილების გამგემ თამილა კალანდიამ მოწინავეთა შორის დაასახელა ელექტროდის, მექანიკური, თალოვანი კონსტრუქციებისა და ელძრავების გადამხვევი საამქროები, რომელთაც ალიოშა მირცხულავა, ლევან კანკია, თორნიკე ლომაია და სოსო კუპრავა ხელმძღვანელობენ.

საამქროს ერთ ჭერქვეშ წლების მანძილზე შრომობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები დათო თოდუა, რაისა ზაიჩკა, აპოლონ ჯალაღონია, ვიქტორ პენუგალოვი, ციალა ზვიმრძაძე, თამაზ გახარია, ნატო დარასელია, გიორგი ხარჩილავა, ნიაზ ჭითანავა და სხვები. თითოეული მისაბაძია ყველგან და ყველაფერში.

წარმოებაში ყურადღება ექცევა მოწინავეთა წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში დაიზოგა 213 ათასი მანეთი, რომელიც მთლიანად მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება.

არის პრობლემებიც. ჭირს საამქროებისა და უბნების მომარაგება ალუმინით, ფიცრით, ცემენტით, მავთულით თუ შავი ლითონით, რაც საწარმოს ხელმძღვანელთა ნომერ პირველი საზრუნავია.

— ახლო მომავალში უკეთესი იქნება საწარმოს ხვალინდელი დღე. აქ გაიხსნება პოლიეთილენის საამქრო. აითვისებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართო მოხმარების საგნების დამზადებას. კიდევ უფრო გაუმჯობესდება ზუგდიდური მარკით გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

პ. აბსანძე.

**აქტუალური ინტერვიუ**

# როცა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობაა

ახალმა დრომ მოგვიტანა ის, რომ ტაბუ აეხსნა რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული, საქმიანი კავშირების დადებას, საჭირო პარტნიორების ძებნას და მათთან ერთად საქართველოს ეკონომიკაზე ზრუნვას.

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" გენერალური დირექტორი ბატონი ოთარ ფაცაცია, ეგრეთწოდებული იმ ეძრაობის ხანაშიც ნიჭიერი ალღოიანობითა და ბიზნესმენისათვის დამახასიათებელი ზრუნვით ანვითარებდა ურთიერთ ხელშემწყობ ეკონომიკურ კავშირებს. შედეგიც სახეზეა. კომბინატის დასახლება რომ არაფრით ჩამოუვარდება ქალაქს ეს თავისით არ გაკეთებულა. კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ფიზიკური კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის კერები ქალაქის იერს აძლევს კომბინატს. უმადურობა იქნებოდა არ დავინახოთ, რომ ყოველივე ამაში დიდი შრომაა ჩადებული.

წლების განმავლობაში რესპუბლიკის ჩაის მრეწველობა შეუფერხებლად მარაგდება ძვირადღირებული, თავის დროზე დეფიციტური ერთჯერადი ხმარების ჩაის ქაღალდით, რომლის ფაბრიკაც ერთობლივად დაამონტაჟეს ქართველმა და გერმანელმა სპეციალისტებმა. ხოლო ამჟამად ჩვენ საწარმოსა და არხანგელსკის სატყეო მრეწველობის ბაზაზე შეიქმნა ერთობლივი „ენგურარხანგელსკის საწარმო", რომლის დირექტორს ბატონ რადიონ ოყუჯავას ვთხოვეთ რამოდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

**—ბატონო რადიონ; როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ საწარმოს შექმნას?**

—მოგეხსენებათ ის შეფერხებები, რაც თან სდევს ჩვენს დაძაბულ დროს. ერთი მთავარი მათგანია წარმოების ნედლეულით მომარაგება. ჩვენმა მომმარაგებლებმა. ბრატსკის. არხანგელსკის საწარმოებმა საგრძნობლად შეამცირეს ნედლეულის მოწოდება, თითქმის ყველა საწარმო გვითანხმდება ბარტერულ ხელშეკრულებებზე. ჩვენ გადავწყვიტეთ მოლაპარაკება გვეწარმოებინა არხანგელსკის „ჩრდილოეთის სატყეო მეურნეობის კონცერთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე. შედგა შეხვედრები, მოხდა წარმომადგენელთა გაცვლა-გამოცვლები, ადგილზევე შესწავლილ იქნა საწარმოთა პერსპექტივები და ერთი სიტყვით საქმე სასიკეთოდ მოტრიალდა.

**—იქნებ შეთანხმებულ პირობებზეც გვესაუბროთ?**

—კი ბატონო. არხანგელსკი ყოველწლიურად მოგვაწვდის 15 ტონა ცელულოზას. ამასთანავე გაიღებს ნაწილობრივ ხარჯებს და გაცემული აქვს უკვე იმპორტული დანადგარების შესაძენად. ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ჩვენი დელეგაცია გაემგზავრა ათ დღიანი მივლინებით იაპონიაში ჩვენი მიზანი იყო გავცნობოდით სანიტარულ-ჰიგიენური ქაღალდის გადამამუშავებელ დანადგარ მოწყობილობებს ქალაქ ფუჯინამიის ფაბრიკაში, რომლის იდენტური დანადგარებიც დამონტაჟებულია ჩვენს სანიტარულ ჰიგიენური ქაღალდის საწარმოში, გავეცანით ტექნიკურ დოკუმენტაციას, შესყიდვის ხელშეკრულება დაიდო და შესასყიდი თანხაც გადარიცხულია.

ჩვენი საწარმო ძირითადად გამოუშვებს სანიტარულ-ჰიგიენურ ქაღალდს 15 ათასი ტონის რაოდენობით წელიწადში ანუ 150 მილიონ ცალ რულონს მომხმარებლისათვის. 1992 წლისათვის საწარმოს წლიური შემოსავალი მიაღწევს 15-16 მილიონ მანეთს. საერთოდ მოგების 49 პროცენტს მიიღებს არხანგელსკის კონცერნი, ხოლო „საქქაღალდმრეწვი" კი 51 პროცენტს.

**—ბატონო რადიონ, რამდენი სახის ასორტიმენტს გამოუშვებს საწარმო?**

—ჯერჯერობით საწარმო გამოუშვებს ჰიგიენურ ქაღალდს, რომლისგანაც გაკეთდება ტუალეტის ქაღალდი და ხელსახოცები, ხოლო რაც შეეხება სხვა ასორტიმენტის გამოშვებას ჯერ ადრეა მაზე ლაპარაკი. უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ საიდუმლოცაა.

**—იქნებ ორიოდ სიტყვით გვითხრათ რა მდგომარეობაშია დღეისათვის საწარმოს მშენებლობა?**

—როგორც ხედავთ, თვალში საცემია ლამაზად ნაგები შენობა, რომელიც ჩაის ქაღალდის საამქროს გაგრძელებაზე შენდება. შენობის შიგნით მიმდინარეობს გაცხარებული მუშაობა. ახლა ამონტაჟებენ დანადგარებს, წყალგამტარ მილებს. ერთი სიტყვით სრულდება საკომუნიკაციო სამუშაოები. ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოსათვის. ხოლო ძირითადი საამქრო ექსპლოატაციაში შევა მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოსათვის.

**—ბატონო რადიონ, როგორ გადაწყდება თქვენი საწარმოს კადრებით დაკომპლექტდება. ეს ხომ საკმაოდ ძნელი პრობლემაა დღეისათვის?**

—ასე თუ ისე უნდა ითქვას; რომ თუ დღეს კადრების მომზადება შედარებით არ უჭირს, ესაა ენგურქაღალდკომბინატი. მოგეხსენებათ რომ ოდითგანვე ჩვენს წარმოებას კადრების სამჭედლოს უწოდებდნენ და სამართლიანადაც. ჩვენთან ორგანიზებულად ეწყობა სპეციალისტებისა და მუშების გაგზავნა მონათესავე არხანგელსკის, სიქტივკარის, ობუხოვის საწარმოებში სადაც მომზადდებიან, როგორც ენერგეტიკული ისე მექანიკური სამსახურის კადრები.

**—ბატონო რადიონ ისღა დამრჩენია მადლობა მოგახსენოთ ესოდენ შინაარსიანი საუბრისათვის და წარმატებები გისურვოთ შრომით საქმიანობაში.**

ინტერვიუ ჩაიწერა
ლალი ჯოლოხავამ.

---

დედათა და ბავშვთა სანატორიუმი „შქალუაში" ეს ის ადგილია, სადაც დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. გადავწყვიტეთ რამდენიმე კითხვით მივმართა მისი დირექტორის ხუტა გალათურიასათვის.

# თუ გინდათ დაისვენოთ

**—რამ განაპირობა დედათა და ბავშვთა სანატორიუმის გახსნა სოფელ შქალუაში?**

1980 წელს დაევალა რესპუბლიკის კურორტოლოგიის ინსტიტუტს შეესწავლა უძველესი საკურორტო ადგილის ბუნებრივი პირობები. გაირკვა, რომ ამ მიკრორაიონში ადგილი აქვს მთისა და ზღვის ჰაერის შერწყმას, ჰაერის ანალიზმა კი უჩვენა რომ ზღვის დონიდან 260 მეტრზე მდებარე სოფელში მტვერი და მავნე ნივთიერებები დასაშვებ ნორმაზე საგრძნობლად დაბალია და უახლოვდება მაღალი მთის ჰაერს. განსაკუთრებით კარგია წყალი, რომელიც ამოდის 100 მეტრის სიღრმიდან (ჭაბურღილით) და შეიცავს 9 მილიგრამ რკინას.

**—მიუხედავად იმისა, რომ შქალუაში ცნობილი კურორტი არ არის, ამბობენ დღეისათვის ერთი თავისუფალი ადგილიც კი არაგაქვთო...**

—დღეისათვის სანატორიუმი ძალზე გადატვირთულია, აქ მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან ჩამოსული ასამდე კაცი ცხოვრობს. სანატორიუმი მასპინძლობს 50-ზე მეტ დეხბურთელსა და 50-მდე დამსვენებელს.

**—ვისი სახსრებითაა კურორტი აგებული და ვის უნდა ემსახურებოდეს?**

—კურორტი აშენებულია სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახსრებით და მათივე სამსახურში უნდა იყოს.

**—სად და ვისთან შეიძლება საგზურის შეძენა, ვის აქვს უპირატესობა, რამდენია მისი ღირებულება?**

—საგზური ყველა იმ ორგანიზაციას გააჩნია, რომლებიც დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, ზუგდიდის მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტს თავისუფლად შეუძლია მიიღოს საგზური რომლის ღირებულებაა 22 მანეთი. მართალია საგზურის თვითღირებულება 300 მანეთია, მაგრამ აქედან 22 მანეთს იხდის დამსვენებელი, 278 მანეთს პროფესიული კავშირები.

**—რატომ არ იხდიან დამსვენებლები დადგენილ 30 პროცენტს?**

—წესით დადგენილია, რომ ორგანიზაციების მიერ საგზურის სრული ღირებულების 30 პროცენტი უნდა გადაიხადოს დამსვენებელმა, მაგრამ გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენი სანატორიუმი. სოფლის მეურნეობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით „შქალუაშის" სანატორიუმისათვის დადგენილია 22 მანეთი და საგზურების 20 პროცენტი უნდა გაიცეს უფასოდ. წელს უფასო საგზურები გაეცათ მხოლოდ მიწისძვრით დაზარალებულებს.

**—დამსვენებელთა დიდი უმრავლესობა კმაყოფილია კვებით, როგორ აღწევთ ამას?**

—ჩვენი, მეორე კლასის სანატორიუმისათვის კვების დღიური თანხა 4 მანეთი და 50 კაპიკია, მაგრამ მივაღწიეთ იმას, რომ დამხმარე მეურნეობის ბოსტნიდან მივიღოთ ბოსტნეული, საფუტკრედან—თაფლი, მინიფერმიდან რძე და ა. შ.

**—თქვენ ამბობთ, რომ სანატორიუმი სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის აშენდა და მათ უნდა ემსახუროს, გამოდის რომ ნახევარზე მეტი აქ სხვა უწყების ხალხი ისვენებს, რას გვეტყოდით ამაზე?**

—სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უცნობია ჩვენი პირობები. ისინი დასასვენებლად მიდიან უფრო სახელგანთქმულ კურორტებზე და სწევენ დიდ ხარჯს, მაშინ როდესაც აქვე, თავისსავე რაიონში შეუძლიათ დაისვენონ შესანიშნავად, სადაც მაღალ დონეზე დგას როგორც სამედიცინო ასევე, სხვა სახის მომსახურება.

**—გმადლობთ საუბრისათვის.**

ესაუბრა
ნინო გეთია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.

---

**ძმას ძმისა ეიმედება**

# მარჯვენა, რომელიც რაჭას აშენებს

29 აპრილს მომხდარი უძლიერესი მიწისძვრისაგან მიღებულ ჭრილობებს დღითი-დღე იშუშებენ დასავლეთ საქართველოს ივარამნილი რაიონები. აქ ახლა, შეიძლება ითქვას, წამალზე უფრო ფასობს მშენებელ-მემონტაჟის დალოცვილი მარჯვენა. ეს იციან ზუგდიდის № 12 სამშენებლო ტრესტის (მმართველი ლოდიკო ქუჩულორია) ნაცადი კოლექტივის წევრებმაც და ძალღონეს არ იშურებენ დანგრეული რაჭის, კერძოდ, ონის რაიონის სოფლების ასაშენებლად.

აი, რა განაცხადა ჩვენთან საუბარში № 12 ტრესტის მმართველის მოადგილემ თემურ ჯანაშიამ:

—უბედურების პირველსავე დღეებში, ჩვენმა კოლექტივმა დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხა 30 ათასი მანეთი და გამოთქვა ერთსულოვანი მზადყოფნა პრაქტიკული მოქმედებისათვის. დღეს კი ტრესტის მთელი კოლექტივი აქტიურადაა ჩართული აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში. ჩვენი ტრესტის სამუშაო ფრონტი ძირითადად მოიცავს ონის რაიონის სოფლებს: სორს, ჟარახეხს, შარდომეთს, ბიბრევსა და წინეთს. წლეულს მთლიანად უნდა ავაშენოთ 78 ახალი ორსართულიანი სახლი, აღდგენითი სამუშაოები უნდა ჩავუტაროთ 127 ნახევრადდანგრეულ სახლს. ესე იგი, წლიურიანდელი პროგრამა ითვალისწინებს 10-12 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას.

დაზარალებულ რაიონში დღეის მდგომარეობით ვაგზავნილია 220 კაციანი სამშენებლო რაზმი, სათანადო ტექნიკა და სხვა, ტრესტის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაისიდან დღემდე შესრულებულია 2 მილიონამდე მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

არ დავმალავ, სამუშაო რთულ პირობებში (ძირითადად რელიეფის გამო) მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენი მშენებელ-მემონტაჟეები ყოველგვარ სიძნელეს ადვილად უმკლავდებიან იმ შეგნებით, რომ მათ უკან ასობით უსახლკარო ადამიანი დგას, ხოლო ზამთარი არც ისე შორსაა...

ბატონმა თემურ ჯანაშიამ გვიჩვენა „ონის" რაიონული გაზეთის „ონის" რამდენიმე ნომერი, რომელთა ფურცლებზე გულთბილადაა მოთხრობილი ჩვენი მშენებლების სამაგალითო შრომის თაობაზე. ერთერთი წერილი ასე მთავრდება: „ჩვენო მშენებლებო, დაგელოცოთ მარჯვენა, ის მარჯვენა, რომელიც დანგრეულ რაჭას აშენებს".

ჯ. ჯაბადარი.

## ვაჟა-ფშაველა—130

ბევრს, ძალიან ბევრ ზუგდიდელს დაწყვიტა გული კოკი ფიფიას უდროო გარდაცვალებამ. იგი ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი იყო. ზუგდიდელი მკითხველები მას იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ და განათლებულ პიროვნებას, მის მიერ მომზადებულ საგაზეთო წერილებს კი თავისი სტილი ჰქონდა, გამოირჩეოდა ინტელექტითა და ჟურნალისტური აზროვნებით.

გაზეთი „ოდიში" დღეს უკანასკნელად ბეჭდავს ბატონ კოკის წერილს, რომელიც გარდაცვალების წინა დღეებში თავად მოიტანა რედაქციაში.

# ვაჟა-ფშაველა და კრივი

დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა სპორტის უსაზღვრო მოყვარული და ქომაგი იყო. ამაყი, მეამბოხე სულის პატრონი ზიზღით იყო გამსჭვალული ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ და ხშირად იქ სადაც სიტყვა ვერ გასჭრიდა, საქმეში მუშტი ერეოდა, რასაც როგორც თავად ვაჟა აღნიშნავს ხშირ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია. მისი ბიოგრაფი გიგი ხორნაული წერს: „გორის საოსტატო სემინარიის დამთავრებისთანავე ვაჟა სკოლის მასწავლებლად გაანაწილეს სოფელ ტოლაანთსოფელში. აქ ვაჟას მოედანი ჰქონდა მოწყობილი და ბავშვებს ფიზკულტურის გაკვეთილებს უტარებდა. მღვდელმა აღნიაშვილმა, რომელიც სკოლის გვერდით ცხოვრობდა ზანტაჟის მიზნით ღობე გაარღვია, მიწის მითვისება მოინდომა. ვაჟამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და როცა სიტყვამ ვერ გასჭრა, მღვდელი ძირს დაანარცხა და შემდეგ კი გააძევა სკოლის ეზოდან, რის გამოც ვაჟა გაანთავისუფლეს სამუშაოდან."

ვაჟა-ფშაველას სპორტის ბევრი სახე იტაცებდა. ჭიდაობდა და კარგ ფალავნადაც ითვლებოდა, მონაწილეობდა სიმძიმეების აწევაში (საჭილდაო ქვა). ნადირობდა, თევზაობდა, შესანიშნავად თამაშობდა ბილიარდს, ყაბახში ხომ ტოლი არ ჰყავდა. მაგრამ მისი გატაცება მაინც კრივი იყო. ვაჟას კრივით დაინტერესება უკავშირდება თელავის სასულიერო სასწავლებელს, სადაც პოეტი თავის ძმა გიორგისთან ერთად სწავლობდა. ვაჟას ძმა სანდრო იგონებს: „ორივე ძმა კრივში პირველები იყვნენ, ვისი მხარეზეც ეს ორი ძმა ფშაველები იყვნენ, აუცილებლად ის მხარე იმარჯვებდა. ძმებს ქებით იხსენიებდნენ იმდროინდელი განთქმული მოკრივეები, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით".

ბავშვების საყვარელი მწერალი შიო მღვიმელი იგონებს: „გორის საოსტატო - სამასწავლებლო სემინარიაში ვსწავლობდი, როცა სასწავლებლად გადმოვიდა ვაჟა-ფშაველა. ყველას გვიზიდავდა მისი გარეგნული შეხედულება და მედიდური სიარული. ვაჟა გორის ე. წ. ზემო უბანში ცხოვრობდა, მაგრამ ვაჟა უფრო მეტად ქვემო უბნელებს უყვარდათ, როგორც უფრო სუსტი მხარე ხშირად იჩაგრებოდნენ ზემოუბნელებისაგან, ჩავიდოდა თუ არა კრივში ვაჟა ზემო უბნელებში ჩოჩქოლი ატყდებოდა, ჩამოვიდა ვაჟა და დაგვცხრავს კიდეცო. ვაჟასთან ერთად აქ კრივში გამოდიოდნენ შემდგომში ბევრი ცნობილი მოღვაწეები. აგრეთვე ვაჟას ახლო ამხანაგი იყო ნიკო ლეონიძე (გოგლა ლეონიძის მამა)".

ყველაზე დრამატული შემთხვევა კრივთან დაკავშირებული ვაჟას პეტერბურგში გადახდა, რომელიც გამოაქვეყნა პროფესორმა სოლომონ ყუბანეიშვილმა თავის წიგნში „ცხოვრება ვაჟა ფშაველასი". ვაჟას პიროვნების დასახასიათებლად აღნიშნულ ფაქტს ხშირად იყენებენ მისი ბიოგრაფები და თანამედროვენი (მ. შამანაური, ივ. ბუქურაული, გ. ხორნაული) ჩვენ აქ ძუნწად შევეხებით ამ ფაქტს, რომელსაც ყუბანეიშვილი ასე აღწერს: ერთხელ პეტერბურგში ყოფნის დროს ვაჟას და მის უფროს ძმას გიორგის ფული სრულიად გამოლეოდათ (გიორგი იურიდიული ფაკულტეტის მსმენელი იყო), და მშივრები დადიოდნენ ქუჩაში იმის იმედით, რომ იქნებ ვინმე ნაცნობი შეგვხვდეს და გვაჭამოს რამეო.. შეხვედრიათ ნაცნობი სტუდენტი, რომელსაც მათთვის გერმანულად უთქვამს: „წამოდით ბილიარდი ვითამაშოთ და ვინც წააგოს სადილი იმან გადაიხადოსო. ვაჟას გაუხარდა თურმე, რადგან ბილიარდს შესანიშნავად თამაშობდა და მოგების იმედი ჰქონდა, გიორგი ძმას ამხნევებდა: მოდი, ვაჟა მეცადე მაინც ამოვივსოთო. თამაში ვაჟას გამარჯვებით დამთავრდა და სადილისთვის მოემზადნენ. ამ დროს გერმანელი გარეთ გავიდა და მიიმალა, თურმე იმასაც არ ჰქონია ფული, უნდოდა სადილს ძმებს გამორჩენოდა.

ბილიარდის პატრონმა ვაჟას და გიორგის თამაშის ქირა მოსთხოვა. ვაჟა უხსნის მას დადებულ პირობას. მაგრამ მან ყური არ ათხოვა და ბიჭებს დაუძახა. ისინი მიცვივდნენ ვაჟას და უნდოდათ გიოადქუდი წაერთმიათ, რაც ბუნებრივია, ვაჟამ არ დაანება. მიიტანეს ვაჟაზე იერიში, მაგრამ იგი მაგრად დაუხვდა, ერთმა თავხედმა კი მუშტი უთავაზა, ამის შემხედვარე გიორგი გაცოფდა, ქორივით დააცხრა და ქვეშ მოიგდო. შეიქმნა ერთი აურზაური, მუშტრები გულგახეთქილნი გარეთ გარბოდნენ, რადგან რესტორნის პატრონი ხმამაღლა გაჰკიოდა, მიშველეთ, ყაჩაღები დაგვესხნენო. ყველა ლაქია და მოსამსახურე უტევდნენ ძმებს. მაგრამ ვისაც შემოჰკრეს, ყველანი იატაკზე გაშხლართეს. დაჰკა, დაჰკა,— ამხნევებდა ვაჟას უფროსი ძმა,— აგერ გყავს შენი გიორგიო. ძმებს 20-25 კაცი ესეოდა, უმრავლესობა მათგანი გასისხლიანებული იატაკზე ეყარნენ. დაიღალნენ ძმები, ბოლოსდაბოლოს გამარჯვების სასწორი მოწინააღმდეგის მხარეს იხრებოდა, გიორგი დაუძვრა მომხდურებს გარედ გავარდა და მომხდარის შესახებ ბოქაულს შეატყობინა, რომელიც ადგილზე გაჩნდა. შეხედა ნაცემ ხალხს და განცვიფრებით წამოიძახა: ორმა როგორ გცემათ ამდენი კაციო.

—არ მესმის,— წარმოთქვა მხრების აჩეჩვით ბოქაულმა, და ძმებს გადახედა,— სირცხვილით აბა, როგორ შევადგინოთ აქტი, რომ ამოდენა ხალხი უჩიგის ორ კაცს, დამეკარგენით, აქედან—შეუყვირა ბოლოს ბოქაულმა და გავიდა საბილიარდოდან. მოჩხუბრები იმწამსვე გაიფანტნენ.

მომხდარი შემთხვევიდან გაიარა რამდენიმე ხანმა. გიორგის ნევის პროსპექტზე შემოხვდა ვილაც ახალგაზრდა, ევროპულად ჩაცმული კაცი „ტროსტით" ხელში მიუახლოვდა და მოწიწებით ცილინდრის მოხდით მიესალმა. გიორგიმ გაკვირვებით შეხედა უცნობს, ვერ მიცანით?— —ღიმილით ჰკითხა მან გიორგის, როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, სთხოვა იქვე სასადილოში შესულიყვნენ. უცნობმა მდიდრული სასმელ-საჭმელი შეუკვეთა, მაგიდას შემოუსხდნენ. ახალგაზრდამ გიორგის შეახსენა ლუდხანაში მომხდარი ჩხუბი: მეც იქ ვიყავი,— ღიმილით მიუგო უცნობმა გიორგის—მეც გეჩხუბეთ და ერთი მითხარით, ის მეორე ვინ იყო?

—ჩემი ძმა იყო, რად გკითხავთ?— უპასუხა გიორგიმ.

—„მე „ბოქსიორი" ვარ. მთელი ევროპა შემომივლია, ჩემს დარტყმას ძნელად თუ ვინმე უძლებდა, მაგრამ ცხელი მუშტები უფრო მწარე ყოფილა, ისე შემომკრა ფერდში შენმა ძმამ, რომ მოცელილი ბალახივით დავეცი იატაკზე. შინ რომ მივედი ფერდი დალურჯებული მქონდა და სამი დღე და ღამე კომპრესი მედო".

ვაჟას დამოკიდებულებაზე კრივთან და საერთოდ, ფათერაკებით სავსე ცხოვრებიდან კიდევ უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ აქ მოტანილიც შთაბეჭდილებას შეგვიქმნის ამ ბუმბერაზი პიროვნების ადამიანურ თვისებებზე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ხმალამოწვდილი იდგა მთიელი კაცის და პირადი ღირსებების სადარაჯოზე.

კოკი ფიფია,
სპორტის პროპაგანდის ზუგდიდის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე.

# შეხვედრა ნახევარი საუკუნის შემდეგ...

ნახევარი საუკუნე არც ისე მცირე დროა, რომ ადამიანმა ვერ მოასწროს თავისი ცხოვრების შექმნა, საკუთარი ნაკვალევის დატოვება. ნახევარი საუკუნე მით უმეტეს საკმარისია ადამიანისათვის, რომელიც „დიდ ცხოვრებაში" გადაბიჯების წადილით ტოვებს სკოლის კედლებს, რათა შემდეგ დაბრძენებული კვლავ „დაუბრუნდეს" ბუდეს

5 ათწლეული აშორებს ქ. ზუგდიდის №1 საშუალო სკოლის (1939 წელს პირველი საშუალო სკოლის შენობაში აკაკი წერეთლის სახ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტმა დაიდო ბინა. ხოლო პირველი საშუალო სკოლა დღევანდელ მეორე საშუალო სკოლის შენობაში გადავიდა) 1941 წლის კურსდამთავრებულებს განუმეორებელ ყრმობის წლებთან. დრო წამივით გავიდა. არც უგრძვნიათ როგორ გაეპარათ თვალსა და ხელს შუა, 1941-91 წლები... 1991 წელი საიუბილეოა მათთვის. 5 ათეული წლის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს იქ, სადაც გოგების პირველად შეასხეს ფრთები, სადაც იწრთობოდა და ქანდაკდებოდა მათი სული.

განვლილმა დრომ მათ ცხოვრება შეასწავლა, ვის ეკლიანი გზებით შემოატარა განსაცდელით სავსე ცხოვრება, ვის ობლობა აწვნია, დაქვრივება და შვილის დაკარგვაც...

იმ დღეს, 20 ივლისს მხცოვანი სკოლის ეზოში 3 კლასის 90 მოსწავლიდან მხოლოდ ოცდათოთხმეტმა შეძლო მოსვლა, დანარჩენები სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გამოცხადდნენ. ისხდნენ კლასში და სკოლისდროინდელი მოგონებებით გამოწვეული ღიმილით სახე ებადრებოდათ. ახსენდებოდათ დაუღვინებელი გოგო-ბიჭების ოხუნჯობა და ნახევარი საუკუნე ძალიან დიდი აღმოჩნდა. ამ გასახედიდან დანახული ქალბატონი ლუშა წურწუმია, დღეს ექიმი, 2 შვილის დედა და 5 შვილიშვილის ბებია, სულ სხვაგვარად მოეჩვენათ. „ჭკუფხელი" ნუცა ყოლანდარია იმ დღესაც ისე „ხელმძღვანელობდა" კლასს, როგორც მაშინ, 50 წლის წინ. შეხვედრის ინიციატორები პოპულარული მომღერალი ორდე ლეთანძე, ვოვა ცხადაია, შოთა ხარია კვლავ ძველებურად ოხუნჯობენ, ბავშვობის დროინდელი „ანცობით" შეხვდნენ მეგობრები. მერხებს მიმსხდარი „მოსწავლეები" მოკრძალებულად უყვებოდნენ ერთმანეთს თავიანთი ცხოვრების დეტალებს. ლეილა ღურწკაია—„ვარ ათასი შვილის მშობელი", რებეკა მიქენაია—დღემდე შეურყევლად ვემსახურები ხალხს ერთადერთი შვილის ოჯახთან ერთად; ვენერა ფიფია 16 შვილიშვილის ბებიაა; —თითქოს ანგარიშს აბარებდნენ განვლილი წლებისა.

და კიდევ 34-მდე... ციცი სიჭინავა, თალიკო გოგინავა, თინა ჯლამაია, ვახტანგ ფარცვანია, სუსანა ოდიშარია, გული ბალათურია, ოთარ ხაზალია, კატუშა ხუბუტია, კაკო ფიფია, მერი კოდუა, ნაპო როგავა, ლუსიანე მაქაცარია, მელაშა ფაჟავა, ნოდარი ჯიქია, ბორისი შელია, აკაკი ჰანტურია, ისინი ქმნიან ღირსეულ ზუგდიდელთა კოლორიტს, რომელსაც ბოლომდე გასდევს სუფთა გრძნობები.

ნახევარი საუკუნით მაინც გაგვისწრეს. 50 წლის წინ დატოვეს სკოლა. თითოეული სიყრმისეული ჩვეული ფერადი ოცნებებით ცხოვრობდა, იცოდნენ ბავშვობასთან გაყრით ადვილი ცხოვრება არ დაიწყებოდა, მაგრამ არც იმას იფიქრებდნენ, რომ ასე დამძიმდებოდა მათი უღელი. სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში ომი დაიწყო, ის საზარი, რომელმაც 20 მილიონი ქართველი შეიწირა. პირტიტველა ჭაბუკები ფრონტზე წაიყვანეს. ომმა შეიწირა ავთანდილ ჩუხუა, „დავაჟკაცებას" ვერ მოსწრებული ვაჟკაცი. შეკრებილებს დაღუპულის და ბუქლუ ალამაზებდა.

მათ შორის ბევრის ადგილი სამუდამოდ ცარიელი დარჩა. კარტოზია პაუსია, მატუა ნუნუ, ხვიტია როზა, ჯაბუა ნათელა ბიგვავა ხარიტონი, ქვარცხავა კოკა, მილორავა ალიოშა, ზიბლაია გივი, ნაჭყებია ფრიდონ, ცორდანია თინა,— სევდით იხსენიებდნენ კლასელები.

თანაც კლასელებს მასპინძლობა ვოვა ცხადაიას ოჯახმა გაუწია. შეხვედრას ელფერი შემატეს მასწავლებლებმა. აქ იყვნენ: პედაგოგები —ნესტორ მიქავა, რადიონ რაფავა, ირაკლი ქვანია, აკაკი დარასელია, აბელ პეჟია, ტარიელ [illegible] გაკვეთილი, მაგრამ არაჩვეულებრივი, ეს იყო ზნეობისა და კაცობის გაკვეთილი ღირსეულად გავლილი ნახევარი საუკუნისა.

„მოსწავლეებმა" და მასწავლებლებმა ფეხზე ადგომით და წამიერი დუმილით პატივი მიაგეს სამამულო ომში დაღუპული სკოლის იმდროინდელი დირექტორის ალიოშა ხუნჯუას ხსოვნას. ღრმა სინანულით მოიგონეს ამ ცხოვრებიდან ნაადრევად წასული პედაგოგები მიხეილ პატარაია, ლიდა ბოჯგუა, გრიშა ძიძიგური, ამბაკო ჭითანავა, ტრიფონ მამფორია, ამბაკო სართანია, კოლია ხაბურზანია და სხვები.

შეხვედრამ მეტად გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. შეხვედრის ყოველი დეტალი ტელეფირზე და ფოტოზე აღიბეჭდა, რათა ეს სამახსოვრო დღე ნათელ მოგონებად დარჩეს 1941 წლის კურსდამთავრებულებს.

... ნახევარი საუკუნის შემდეგ „მეათე" კლასი კვლავ „დაიშალა" იმ განწყობილებით და გადაწყვეტილებით, რომ ისინი ყოველი წლის ივლისის მიწურულს შეხვდნენ ერთმანეთს უფრო შევსებული შემადგენლობით.

რუსიკო მიქენაია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

შემთხვევა

# პასუხს გამოძიება გასცემს

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო დროს ძალზე ხშირი გახდა უბედური შემთხვევები, მათ შორის ხანძრებიც. ყველა სიავესა და საზოგადოებისათვის საშიშ მოვლენას გარკვეული მიზეზი აქვს, რომელთა ახსნა-გარკვევას აქ არ შევუდგებით, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი სუბიექტური ცდომილებებითაა განპირობებული...

ხანძარი! — ყომრალი ღრუბლივით უამურმა ამ სიტყვამ 24 ივლისს ელვის სისწრაფით დაუარა მთელ ზუგდიდს. დილის 10 საათსა და 10 წუთზე ქალაქ ზუგდიდის სახანძრო რაზმმა მიიღო შეტყობინება, რომ ზუგდიდი-ჯვარის რკინიგზის ხაზის მესამე კილომეტრზე, ფაბრიკა-ქარხნებისა და დასახლებული პუნქტის ზონაში, უმართავი სატვირთო ვაგონების შემადგენლობის თბომავალთან შეჯახების შედეგად, რკინიგზის ხაზიდან გადავიდა რამდენიმე რონოდა და მათ შორის — ბენზინით სავსე 4 ცისტერნა. როგორც სახანძრო დაცვის სახელმწიფო ინსპექციაში შემდეგ გვითხრეს, შეჯახების შედეგად ხანძარი არ გაჩენილა. ტრაგედია მერე დატრიალდა. უბედურების თვითმხილველთა განმარტებით, ლიანდაგიდან გადასული და დაფერდებული ცისტერნიდან ბენზინმა იწყო გადმოღვრა... შეიქმნა ექსტრემალური სიტუაცია, შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა უამრავმა ადამიანმა, დაიწყეს ავტოცისტერნების მეშვეობით ბენზინის ჩამოცლა და ეშმაკმაც არ დაახანა — იქუხა ცეცხლის სტიქიამაც. ზუსტ პასუხს კითხვაზე როგორ და რა მოხდა — გამოძიება გასცემს. სამწუხაროდ, არის ადამიანის მსხვერპლი. რამდენიმე კაცმა მიიღო მძიმე დამწვრობა.

სტიქიის შედეგი წარმოუდგენლად მძიმე და უფრო სავალალო იქნებოდა, რომ არ ემარჯვათ ცეცხლზე ძლიერ ადამიანებს. შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ოპერატიულად გამოცხადდა ქალაქის სამივე სახანძრო ნაწილის პირადი შემადგენლობა (ცეცხლი უკვე ბობოქრობდა). გამოძახებულ იქნა დამატებითი ძალები და სახანძრო ავტომანქანები მოვიდნენ ქუთაისიდან, სოხუმიდან, ფოთიდან, ჩხოროწყუდან, გალიდან, სენაკიდან, ხობიდან და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ხანძრის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები ოპერატიულად იქნა მოგვარებული ზუგდიდის პრეფექტის მოადგილის პ. ჩუხუას მეთაურობით. თავდაუზოგავი მამაცობა, საზრიანობა და გამჭრიახობა გამოიჩინა ზუგდიდის სახანძრო დაცვის გარნიზონის ოფიცერთა და მებრძოლთა პირადმა შემადგენლობამ (უფროსი ნ. სვირავა). ქების სიტყვები ეკუთვნით ქალაქ №75 პროფესიული სახანძრო ნაწილის მეოთხე ყარაულის შემადგენლობას, ენგურქაღალდკომბინატისა და ფაიფურის ქარხნის მეხანძრეებს, ეროვნული გვარდიის რაზმს.

მეხანძრეებს ქმედითი დახმარება აღმოუჩინეს ცალკეულმა მოქალაქეებმა, რომელთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რობერტ ლუთის ძე გაგუა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჩვენმა თანაქალაქელმა ვიწრო ეგოისტური ზრახვანი გამოავლინა და საქვეყნოდ მოიჭრა თავი. უდიერად მოიქცნენ, სიტყვიერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს სიცოცხლის რისკის ფასად ცეცხლთან მეომარ მეხანძრეებს. ბევრმა ალბათ, არც უწყოდა ის, რომ თითქმის 250 კუბური მეტრი ბენზინის აფეთქებას მოყვებოდა დიდი მსხვერპლი და ნგრევა.

მადლობა ღმერთს, ეს არ მოხდა.

ჯამბულ არქანია.

## მამულიშვილნო!

მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია სხვა პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებებთან ერთად მოაწყობს საქართველოში მასიურ გამოსვლებს საბჭოთა-საოკუპაციო ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით.

მოგიწოდებთ ზუგდიდში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებას, ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს აქტიური მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ აქციაში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში (ზუგდიდი, რუსთაველის 90), შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შეხვედრებს მოაწყობს ქალაქისა და რაიონის მოსახლეობასთან.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

## გამოსათხოვარი

ძალოსნობის პიონერი ზუგდიდში, შრომისმოყვარე და ინიციატივიანი მწვრთნელი, თავაზიანი ტრანსპორტელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაუცხრომელი პროპაგანდისტი, გაზეთების „ლელოსა“ და „ოდიშის“ კვალიფიციური და აქტიური კორესპონდენტი — ასეთად იცნობდნენ და ასეთი ემახსოვრებათ კორნელი (კოკი) სტეფანეს ძე ფიფია მის ამხანაგებს, მეგობრებს, ახლობლებს.

დაიბადა 1929 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო ადრეული ასაკიდან, ჯანმაგარი და ბრგე აგებულების ყმაწვილი მონდომებით დაეწაფა სპორტს. განსაკუთრებით გაიტაცა ძალოსნობამ, სადაც გარკვეული წარმატებები ჰქონდა.

1962 წლიდან დაწყებული ორი ათეული წლის მანძილზე იყო ჯერ სპორტსაზოგადოება „განთიადის“, შემდგომში „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს ძალოსნობის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, აღზარდა არაერთი მზარდი და პერსპექტიული მონაცემების მქონე ძალოსანი.

კ. ფიფია 1969 წელს დაუსწრებლად ამთავრებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს. იგი წლების მანძილზე საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა ქალაქისა და რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერაციას. მუდამ აქტიურად მონაწილეობდა ქალაქსა თუ რაიონში გამართული ყოველი სპორტული ღონისძიების მომზადებასა თუ ჩატარებაში.

მოწონებით სარგებლობდა მის მიერ „ლელოსა“ და „ოდიშში“ გამოქვეყნებული წერილები არამარტო სპორტის საკითხებზე, არამედ ქალაქისა და რაიონის კულტურული ცხოვრების სხვა სფეროშიც.

სპორტის დაუცხრომელი პროპაგანდისტის, ნიჭიერი და განათლებული ადამიანის, გულისხმიერი და თავაზიანი მეგობრის კოკი ფიფიას ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ჩვენს გულში.

მეგობრების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

---

მეუღლე მარია, შვილები: მერი, ზაირა, სულიკო, ყორა, ძმა ანდრო, ძმისშვილები: რეზო, ნუგზარი, შავერიკო, რძლები: ყუყუნა, ლუდა, ციცო, ზოია, ინეზა, სვეტა, ლუიზა, ნიაზი, მარეხი, ნონა, მანანა, შვილიშვილები: ვახტანგი ქირია, თენგიზი, რომანი, მანანა, მურმანი როინი, ვალერი, პარმენი, ჯამბული, მარინა, დაზმირ პირველები, ირინა, გუჯა, გია, ომარი ყვანიები, სიძეები: გივი პირველი, კაკო ქირია, ბადრი წულაია, ლერი ჯგერენაია, ბიძაშვილები: პავლუშა, ჯუმბერ, ძაბული ყვანიები, ახლო ნათესავები, შვილთაშვილები იუწყებიან

**აქვსენტი მაყარას ძე ყვანიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 30 ივლისს. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის 16, ბინა 2, დასაფლავება სოფელ ნარაზენში.

---

დედა თათუშა, მეუღლე რაისა, შვილები: იზოლდა, ელდარი, ჯემალი, ენვერი, ბესიკი, და ლეილა, ძმა ნოდარი ბერიშვილები, სიძეები ჯუმბერ ბულია, რევაზ კობახიძე, ბესიკ ქირია, რძლები: ბედიშა ლატარია, მარგო ქაძანაია, მანანა არჩვაძე, ხათუნა ჯახია, ჯულიეტა მესხი, ტანია შითავა, შვილიშვილები ირმა, რეზო კობახიძეები, ყანა, ფერიდე, ნანა, ხვიჩა, გოჩა, გია, ჯონი, ჯანო ბერიშვილები, ძმისშვილები: ნატო, ნანა, ბერიშვილები, დისშვილები: ინგა, ლონდიკო ახალიები, ცოლისდები: ვარდიშა, ვარდიკო თოდუები, ცოლისდისშვილები: ბადრი, ეთერი, ნინო თოდუები, დეიდა ნუცა, ბიძა იროდი რეკვავა, დეიდაშვილები: ვიდიკო, დინარი ბერაიები, ბიცოლა არეთა ბერიშვილი, ბიძაშვილები: გული, შაქრო, მურმანი, დიმური, ნანული, ნაირა ბერიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გივი აქვსენტის ძე ბერიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 ივლისს ნარაზენში.

---

დედა ვერა, მეუღლე ნიაზი, შვილები: ემა, ხვიჩა, და თინა, ძმები: ჯემალი, ჯუდია, რძლები: ნელი გიორგობიანი ნანი ხარჩილავა, ბიძა მიშა, ბიცოლა ვერა ჯალაღონიები, სიძე ყორა, დისშვილები: ხათუნა, მალხაზი, დათო შელიანიები, ძმისშვილები: ია, გოჩა, ზურიკო, მიშიკო, ჯუანშერი, გიორგი მებონიები, სიდედრი ქორდიკო, სიმამრი რუბენი, ცოლისდა ლიანა, ცოლისძმები: რევაზი, თამაზი მესხიები, ქვისლი გოგი დარასელია მამიდები: თამარა, მელანია, ბაბუცა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**სოსო ვლადიმერის (მიშას) ძე მებონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 ივლისს. დაკრძალვა 1 აგვისტოს 16 საათზე სოფ. ობუჯში (წალენჯიხის რაიონი).

---

მეუღლე ანიკო, შვილები: დიმა, თემური, დინარა, ძმები: კუკური, იოსები, მოსე, ჰიჰიკო, ნოდარი, დები: პისდი, ლოლა, ძმისშვილები: კაპიტო, ნუნუ, დათო, თამარა, გოდერძი, მედეა, ნუგზარი, დოდო, ლილი, სვეტა, გოგი, ბესიკი, ლევანი, ლელა, ბადრი, ირმა, ბაჩუკი, ოლეგი, ირინა, დისშვილები: მარო, თეა, სიძეები არდევან ფირცხელიანი, ზაქრო დავითიანი, რძლები: გალინა, მარიამი, ცირა, უკლება, ჟულიეტა, დალი, ნელი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გელა დიმიტრის ძე თამლიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 აგვისტოს სოფ. რუხში, გამოსვენება თბილისის ქ. 36.

---

ზუგდიდის ჩაის მრეწველობის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ თანამშრომელს ბაბუცა კეზუას მეუღლის

**ვასილ (ვასიკო) ვახტანგის ძე ჭალაგანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა თამარ ჭურღულია, მეუღლე მთვარისა ფარულავა, შვილი ანა ნინუა, დები: ციური, ციდანა, გულნაზი, ხუხა, ძმები: ფირუზ, ჟიული, სიდერი ქორდიკო, სიმამრი მურმან თარულავა, ცოლისძმები: ჰამლეტი, რამაზი, რძალი მზია ჯიქია, მამიდები: ლუცია, მერი ნინუები, დეიდები: გულისა ჭურღულია, ლილუშა ბერულავა, ბიძები ჰიჰიკო ნინუა, ვალიკო ჭურღულია, ნოდარ დარახველიძე, ზაურ ნანავა, მიშა დადიანი, ბიცოლები: ნინა სვანიძე, ნათელა ბულია, ბიძაშვილები, ფატი, ნანული, ტურფა, მზია, შაირი, მურთაზი, ელგუჯა, მამიდაშვილები: მანანა, სოსო დარახველიძეები, ლალი, გურგენ ნანავები, დეიდაშვილები, მიმოზა, მაყვალა, ავთანდილი, ფრიდონი ოჯახებით, სიძეები ზაურ გერეხელია, ვაჟა ჯაბისონია, რევაზ ჯიქია, კლიმი წურწუმია, მერაბ ხუნჯგურუა, დისშვილები: ირმა, თეა, თამრიკო, რომან, რობერტი ზვიად, დათო, ძმისშვილები ლელა, ლევან იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან გრიგორის ძე ნინუა.**

პანაშვიდი 31 ივლისს, 1, 2 აგვისტოს, გამოსვენება 3 აგვისტოს 18 საათზე, ჯიქიას 27.

---

მეუღლე კოკი, შვილები: გახა, დალი, ლილი, დები: დუნია, ლუსია, თინიკო, ძმები: ვანო, დოდიკო, კეკელიები, მული ნათელა გრიგოლაია, დისშვილები: მადონა, ლალი მგალობლიშვილები, გულადი, მურთაზი, ციცო, ეთერ ლიფსაიები, ზურაბი, ნინო, ლუარა შენგელიები, ძმისშვილები: კოტე, როდიკო, რომანი, თემური, ლაშა, ლონდა, მადონა კეკელიები ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ვენერა რომას ასულ კეკელია-ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 ივლისს, 1, 2 აგვისტოს. დაკრძალვა 3 აგვისტოს სოფ. კორცხელში.

---

შვილები: ცისანა, სლავა, ქეთინო შანავები, დები იმელიანე, ლილი სხულუხიები, რძალი ლია ჩიხლაძე, შვილიშვილები: მაია, გელა ცხომარიები, ირაკლი, კობა შანავები, ლევანი, ნინო მახარაძეები, სიძეები: გიორგი ცხომარია, ნუკრი მახარაძე, ალექსანდრე გოგია, ვალიკო შელია, სევერიანე თორდია, მაზლი გრიგოლი შანავა, რძალი მარუსია ტურწკაია, დისშვილები, მაზლიშვილები ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნიურა პლატონის ასული სხულუხია-შანავა.**

გამოსვენება 3 აგვისტოს. ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. 170-დან 5 საათზე. დაკრძალვა სოფელ ცაიშში.

---

მამიდა ნათელა ტყეშელაშვილი, ბიძა ნიკოლოზ ესებუა, შვილებით თამაზი, დავითი, გიორგი რძლებით: მანანა და დარეჯანით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ დავითის ძე ტყეშელაშვილი.**

დაკრძალვა 3 აგვისტოს 18 საათზე სოფელ შუამთაში (ვანის რაიონი).

---

მამიდა ბაბუცა მებონია, მამიდაშვილები: ნუნუ, ნონა, ჯონი, ელდარი, ვახტანგი ფიფიები იუწყებიან

**სოსო ვლადიმერის ძე მებონიას**

გარდაცვალებას.

---

შვილები: ნუნუ, მზია, კუკური, ანზორი, არმაზი, ძმა კალი, შვილიშვილები: ზურაბი, ელგუჯა თოლორაიები, მანანა, ლელა, ნანა, ირმა, გელა, პაპუნა, ყანა, თორნიკე, დათო, შორენა, სოფიკო ღურწკაიები, მალხაზი, მარინა ძანძავები, სიძეები ზაური თოლორაია, ბონდო ძანძავა, ჭანტუ მინჯორაია ჭიჭიკო ჯიქია, რძლები: ნათელა, ნონა, დინარა, დოდო, მულები: ტატული, ვერა, შურა, ძმისშვილები: რეზო ჯემალი გოგოშა, ციური, იზოლდა, აზა, მადონა ქარჩავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარო ეგნატეს ასულ ქარჩავა-ღურწკაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 ივლისს, 1, 2 აგვისტოს. დაკრძალვა 3 აგვისტოს სოფ. რუხში.

---

ზუგდიდის ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევრდენის“ რაიონული საბჭოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, სპორტის ოსტატი

**კორნელი სტეფანეს ძე ფიფია.**

---

№12 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თორნიკე ფიფიას მამის

**კორნელი ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-2[illegible]-79, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №3113